

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

## 26 ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

ზიანის შემცირებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, პროფესიული და ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის წარმომადგენლები და აქტივისტები საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრების სახელზე მიმართვას ავრცელებენ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

კვლავ მოგმართავთ ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც აღინიშნება ყოველ წელს, **26 ივნისს** და აქვე გამოვხატავთ



ჩვენს ძალიან ღრმა წუხილს, რომ მიუხედავად მრავალჯერადი წინასაარჩევნო წერილობითი თუ ზეპირი დაპირებებისა ნარკოპოლიტიკის პოზიტიური და რეალური ცვლილებები საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა.

მივესალმებით იმ წარმატებებს, რომელსაც ქვეყანამ ბოლო წლების მანძილზე მიაღწია აივ/შიდსისა და C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის და მისი ელიმინაციის მიმართულებით, მათ შორის ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირებისთვის. მივესალმებით იმ დადებით დინამიკას, რომელიც ნარკოლოგიური სერვისების სახელმწიფო დაფინანსების კუთხით აღინიშნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ათეული წლების განმავლობაში დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება უსამართლო, რეპრესიული და საზოგადოებისათვის საზიანო ნარკოპოლიტიკა. ეს პოლიტიკა იწვევს ათასობით ოჯახის გაღარიბებას, ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევას, ახდენს ნარკოტიკების მომხმარებელთა კრიმინალიზაციას, ხოლო დაპატიმრების შიში კი აიძულებს ადამიანებს თავი აარიდონ სოციალური და სამედიცინო სერვისებით სარგებლობას.

მეცნიერული კვლევები და განვითარებული ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა მიუთითებს, რომ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა და ადამიანის უფლებების დაცვასა და ჯანდაცვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკა ამცირებს დანაშაულს, ხელს უწყობს წამალდამოკიდებული ადამიანების რესოციალიზაციას და ამცირებს შიდსის, C ჰეპატიტის და სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადების გავრცელებას. წამალდამოკიდებულთა მკურნალობა/რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების პროგრამების გაფართოება და ხელმისაწვდომობა აგრეთვე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჯანმრთელობის უფლების ეფექტურ დაცვას და საქართველოს მიერ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის სრულყოფილ იმპლემენტაციას.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ხელისუფლება და საზოგადოება სულ უფრო მეტად თანხმდება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი ქვეყანაში არსებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვასა და ჯანდაც-



ვაზე ორიენტირებული პრაგმატული ნარკოპოლიტიკაა. საქართველოში არსებულმა რეპრესიულმა ნარკოპოლიტიკამ არაერთი უარყოფითი შედეგები მოიტანა, როგორც ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის და ამგვარად ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, თვითმკვლელობის შემთხვევები, ადამიანების მსხვერპლი და ინფექციური დაავადებების ტვირთი, შესაბამისად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯი. არაერთი მტკიცებულება ცხადყოფს, რომ დასჯა არ არის პრევენციული მექანიზმი და უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მკურნალობა და რეაბილიტაცია. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენება ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა მიმართ ხელს უშლის წამალდამოკიდებულის ჯანდაცვის უფლების რეალიზებას პრაქტიკაში, უნადგურებს მათ მომავალს, აღრმავებს სტიგმასა და დისკრიმინაციას ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ და ხელს უწყობს მათ იზოლაციას და საზოგადოებიდან გარიყვას.

საქართველოში წლების განმავლობაში მოქმედი ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კანონმდებლობა ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ ითვალისწინებს არასამართლიან და არაპროპორციულ სასჯელს, რაც ეწინააღმდეგება, როგორც მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას ისე საერთაშორისო, კერძოდ განვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაგმატულ გამოცდილებას. საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებლის ადმინისტრაციული წესით დასჯის აღსრულებისათვის, რადგან კანონმდებლის მხრიდან განსაზღვრულია ზოგადი და არა კონკრეტული წესი, პოლიციელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში დააკავოს პირი და წარუდგინოს თავისივე უწყების დაწესებულებას ნარკოტიკული თრობის შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში ხშირად ხდება ადამიანის ღირსების შე-

ლახვა და მისი ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დარღვევა. ხელისუფლების არსებული შემდგომი მიდგომა კი ორიენტირებულია მის მუდმივ დევნასა და კრიმინალად გადაქცევაზე.

ბოლო პერიოდში შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანების უსაფუძვლო დაკავებამ და ნარკოტიკების მოხმარება/შენახვის გამო წაყენებულმა ბრალდებებმა (გიორგი ადეიშვილის, მიშა მგალობლიშვილის, გიორგი ქებურიას, შოთა პაკელიანის, მიხეილ თათარაშვილის, დავით ხარშილაძის, ლევან აბზიანიძეს საქმეები, ასევე მამუკა მიქაუტაძის, დემურ სტურუას თვითმკვლელობის და სხვა მრავალი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმეები, კონკრეტულად იხ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, HRW-ის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების 2016-2017 წლის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ), რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯსა და რეპუტაციასაც. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ მკაცრი რეაგირება უნდა გვქონდეს ყოველ ისეთ შემთხვევაში, რაც საზოგადოებაში „ნარკოტიკის ჩადებასთან“ არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის პატიმრობის შეფარდებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. 2016 წლის 15 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელშიც სადავოდ მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების კონსტიტუციურობა. ასევე საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის 20 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც გაასაჩივრა ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირების“ მთლიანი პროცედურა, პირის წარდგენიდან, მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ სასამართლო დადგენილების

გამოტანის ეტაპამდე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო და მალე იგეგმება მისი არსებითი განხილვა. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ, ნარკოტიკულ სამართალდარღვევათა დადგენის წესი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის რიგ ნორმებთან და საჭიროებს გადახედვას. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია მოქალაქეთა და საერთო სასამართლოების უამრავი წარდგინებები სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოდანაშაულის თავში მოცემული სასჯელების არაპროპორციულობასთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს სახელმწიფოს მხრიდან დაუყოვნებლივი ჩარევის და დღევანდელი ნარკოპოლიტიკის ცვლილების აუცილებლობაზე.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა არ გულისხმობს ბრძოლას ნარკოტიკების მომხმარებელ ადამიანებთან და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებთან, ამას მოწმობს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის გამოცდილება და ადასტურებს საერთაშორისო საზოგადოების პოზიციას, რომ ნარკოტიკების მომხმარებელ ადამიანებთან მიმართებაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებაზე.

დღეს თქვენი პოზიცია და პოლიტიკური ნება გადამწყვეტია – ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში უნდა მოხდეს ნარკოპოლიტიკის შემობრუნება ადამიანური, დახმარებაზე ორიენტირებული მიდგომისკენ. მოგიწოდებთ ერთად დავამთავროთ ეს უსამართლობა. შიში, რეპრესია და დევნა ჩავანაცვლოთ განათლებით, პრევენციით და ზრუნვით. დღეს არსებული ცოდნა, მეცნიერება და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს არის პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზა.

კვლავ გამოვხატავთ სრულ მზადყოფნას, რომ ყველა პარტნიორთან ერთად ვიმუშაოთ მტკიცებულებებზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის შექმნაზე და განხორციელებაზე.

გთხოვთ და მოგიწოდებთ მხარი დაუჭირეთ ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ერთობლივ კანონპროექტს. მიმართვის მხარდამჭერი ორგანიზაციები: ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა (GNPD), ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (GHRN), ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი (GeNPUD), თეთრი ხმაურის მოძრაობა.

# არ დასაჯო!

მე, ნარკოტიკების მომხმარებელი არ ვარ კრიმინალი!, მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად! – ამ გზავნილით შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა.

**26 ივნისს ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, ნარკოტიკების მომხმარებელთა და ზიანის**

არ დასაჯო!

მგრუნველობა დასჯის ნაცვლად!


*შემცირების საქართველოს ქსელი ტრადიციულად შეუერთდა საერთაშორისო კამპანიას – „მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად“ (Support don't punish), – კამპანია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ნარკოპოლიტიკის რეფორმას და შეცვალოს რეპრესიული პოლიტიკები, კანონები, რათა ადამიანების ხელმისაწვდომობას სასიცოცხლო მნიშვნელობის სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პრევენციულ მომსახურებაზე ხელი შეეწყოს.*



„გვინდა მოვუწოდოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, წინ არ აღუდგეს მკვლელი ნარკოპოლიტიკის რეფორმას, რომლის მავნებლობა დიდი ხანია აშკარაა და საზოგადოებამ საკუთარ თავზე „იწვნია“. ჩვენ, სიფრთხილით ვეკიდებით და ვაფასებთ მოვლენებს, ვინაიდან ჩვენი ყველას უმთავრესი მიზანია რეფორმის ფარგლებში პარლამენტში მიმდინარე განხილვების და პროცესის მხარდაჭერა, რომელსაც ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა ჯანდაცვის კომიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმართავს“. – აღნიშნულია ორგანიზატორების ინფორმაციაში.

რედ ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის მიერ იქნა ინიცირებული. დღეს მომხმარებელთა ქსელი (GeNPUD) საქართველოში ერთერთი ყველაზე მძლავრი სათემო გაერთიანებაა, რომელიც 2006 წლიდან ნულოვანი ტოლერანტობის რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციისთვის იბრძვის. პირველი მასშტაბური აქცია GeNPUD-მა 2013 წელს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართა, რადგან ძალოვანი უწყებები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას. „ჩვენს ქვეყანაში ვერცერთი მთავრობა ვერ შეელია ძალადობრივ მანქანას, რომელიც 10 000-ით ნარკოტიკების მომხმარებლის კრიმინალიზაციას გულისხმობს. ებრძვიან ადამიანებს და არა პრობლემას, გვართმე-

**26 ივნისს**, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, არა მხოლოდ თბილისელმა აქტივისტებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ, არამედ რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო სექტორმაც გზავნილებით „მე, ნარკოტიკების მომხმარებელი, არ ვარ კრიმინალი!“, „მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად!“, „ჩემი რეპრესია შენი რეგრესია!“ გააპროტესტეს.



როგორც უკვე აღინიშნა, ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი შეიმუშავა, რომელიც პარლამენტში სწორედ **26 ივნისს** დარეგისტრირდა და ამჟამად განხილვის პროცესშია. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი და თავად ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის ფორმირება სწო-



ვენ თავისუფლებას, მომავლის იმედს, ჯანმრთელობას და ყველაზე ფასეულს – სიცოცხლეს“! აცხადებს კოკა ლაბარტყავა, ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელი.

საქართველოს 9 რეგიონიდან 400 ზე მეტმა აქტივისტმა, აქციის მიმდინარეობისას მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებს, ხელი შეუწყონ ნარკოპოლიტიკის რეფორმას, არა იძალადონ ნარკოტიკების მომხმარებლებზე,

არამედ მზრუნველობა გამოიჩინოს მათ მიმართ. აქციის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს იმ 1000 ობით ადამიანს, ვინც საპატიმრო დაწესებულებებში უსამართლო ბრალდებით იხდის სასჯელს.

სწორედ მომხმარებელთა ქსელის მიერ ინიცირებული პროცესი საზოგადოების ფართო ჩართულობით, გვაძლევს იმის იმედს, რომ ინიცირებული პროცესი საქართველოში ნარკოპოლიტიკის რეფორმით და მისი გაადამიანურებით დასრულდება.

## მრგვალი მაგიდა სასტუმრო „ვიქტორიაში“

## ეროვნული ნარკოპოლიტიკა და ადამიანის უფლებები



**26 ივნისს**, გორში კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“ ორგანიზებით ნარკომანიასა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქტივისტები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. სესიაზე ქეთევან ბიძინაშვილმა, მონაწილეებს მსოფლიოსა და საქართველოს მდგომარეობაზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შესახებ ინფორმაცია გააცნო. შემდგომ პრეზენტაციაში ნარკოპოლიტიკის ე.წ. „პორტუგალიური მოდელი“ გამახვილდა ყურადღება და ამ მხრივ საქართველოში დაგეგმილი შესაძლო ცვლილებების შესახებ. შეხვედრის დასასრულს დისკუსია გაიმართა. მონაწილეებმა საკუთარი გამოცდილება და შეხედულებები გაუზიარეს ერთმანეთს და სამომავლო აქტივობები დაგეგმეს.

**28 ივნისს**, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში, ნარკომანიასა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა “ეროვნული ნარკოპოლიტიკა და ადამიანის უფლებები” გაიმართა. შეხვედრას, რომელიც “ქსენონის” ორგანიზებით მოეწყო, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურებისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრაზე ხაზი გაესვა, იმ გარემოებას, რომ აივ/შიდსისა და C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის მიმართულებით ქვეყანაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელთა კრიმინალიზაციას ახდენს და აიძულებს მათ თავი აარიდონ სოციალური და სამედიცინო სერვისებით სარგებლობას. შეხვედრაზე, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა – კახა კვაშილავამ, მოწვეულ აუდიტორიას გააცნო ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმისა და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ერთობლივი კანონის პროექტი, რომელიც ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში და ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას ისახავს მიზნად.



# ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ  
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს  
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს  
ელექტრონულ მისამართზე  
*marinaasatiani@yahoo.com*

ან

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,  
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და  
საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,  
მე-3 სართული, ბ. 6  
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60  
ელ. ფოსტა: *info@hrn.ge*  
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

